



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
ტელე-რადიო ჟურნალისტიკა (ბაკალავრიატი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

(განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)
ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2.03.2026- 17 .03.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი

8.05. 2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	24
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	26
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	32

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი.
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ქეშელაშვილი, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ტელე-რადიო ჟურნალისტიკა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	TV and Radio Journalism
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა- 0321.1.2 მასობრივი კომუნიკაცია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული. 2018 წლის 5 დეკემბერი, N192
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. სასწავლო კურსები განაწილებულია სემესტრების მიხედვით და მოიცავს როგორც დარგობრივ, ისე ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტებს:

- სპეციალობის ძირითადი კურსები - 138 კრედიტი
- სპეციალობის არჩევითი კურსები - 25 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 17 კრედიტი;
- დამატებითი - minor სპეციალობა/არჩევითი ბლოკები/კურსები - 60 კრედიტი.
- კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტურად შეისწავლა წარმოდგენილი პროგრამა, სილაბუსები, თვითშეფასების ანგარიში და სხვა დამხმარე მასალები .

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, პროგრამის მოცულობის შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ რეგულაციასთან (180–200 ECTS) კურიკულუმის შინაარსობრივი და სტრუქტურული ოპტიმიზაციის გზით.
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკის გაუმჯობესება კომპლექსური კომპეტენციების ეტაპობრივი ინტეგრირების, შუალედურ კურსებთან მათი კავშირის გამოკვეთის, სტუდენტთა პროგრესის სისტემური შეფასებისა და სამიზნე ნიშნულების რეალისტური განსაზღვრის უზრუნველყოფით.
- რეკომენდირებულია, სასწავლო ლიტერატურის განახლება, მათ შორის თანამედროვე საერთაშორისო აკადემიური წყაროების ინტეგრირების გზით.
- რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომისა და საწარმოო პრაქტიკის მიზნებისა და შეფასების სისტემების დაახლოება მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის კვალიფიკაციით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და კომპეტენციების თანმიმდევრული ასახვა პრაქტიკულ, შინაარსობრივ და ანალიტიკურ დონეზე.
- რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება და შეფასების კრიტერიუმების დაკონკრეტება (მათ შორის როლების მიხედვით), რაც უზრუნველყოფს როგორც კვლევითი უნარების შეფასებას, ისე თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური წვლილის გამოვლენას ჯგუფური მუშაობის პირობებში.

რჩევები :

- სასურველია, პროგრამის მიზნებში მეტად გამოიკვეთოს კომუნიკაციის სფეროს მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ასპექტები, მათ შორის მულტიმედიური და თანამედროვე მედიაგარემოსთან დაკავშირებული კომპონენტები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მასშტაბის უკეთ წარმოჩენას და მის შესაბამისობას დარგობრივ მახასიათებლებთან და მინიჭებულ კვალიფიკაციასთან.
- სასურველია, განხილულ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების დეკომპოზიცია, რაც გაამარტივებს მათი შეფასების პროცესს; ამასთან, კვლევითი კომპონენტი უფრო ოპერაციულად განისაზღვროს, მათ შორის კონკრეტული მეთოდებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების დაკონკრეტებით.
- სასურველია, სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები მეტად დიფერენცირდეს კურსების მიხედვით, რაც უკეთ გამოკვეთს, რა ეტაპზე და რა ფორმით ხდება კონკრეტული კომპეტენციების შეფასება.
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის პროცესში გაძლიერდეს დამოუკიდებელი ელემენტი, მათ შორის იმ პირთა ჩართულობით, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართული შესაბამისი კურსების განხორციელებაში.
- სასურველია, გადახედოთ იქნას ტექნიკურ-პრაქტიკული კურსების მოდულური სტრუქტურა ეტაპობრივი განვითარების ლოგიკის შენარჩუნებით, უფრო მოქნილი ფორმატის გათვალისწინებით და ანალიტიკური კომპონენტების ინტეგრაციის გაძლიერებით.
- სასურველია, საბაკალავრო ნაშრომისა და საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა იმუშაონ ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა მედია ფორმატში (ტელე, რადიო, ონლაინ), რაც ხელს შეუწყობს მულტიპლატფორმული უნარების განვითარებას; ამასთან, შეფასების პროცესში შეიძლება დაემატოს რეფლექსიური კომპონენტი.

• *სასურველია, სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები და პლატფორმები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების კონკურენტუნარიანობის ზრდას თანამედროვე მედია ბაზარზე.*

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:**

- **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;
- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ძალაში დატოვა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული თავდაპირველი შეფასება.

ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

⁴ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებული ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)

[რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე](#)

[შეფასების კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ზოგადად შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონეზე განსაზღვრულ მოთხოვნებს და ასახავს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროსათვის დამახასიათებელ ძირითად კომპეტენციებს. მიზნები ორიენტირებულია მასობრივი კომუნიკაციის, მედიისა და კომუნიკაციის მართვის სფეროში ფართო თეორიული ცოდნის მქონე სპეციალისტის მომზადებაზე, რაც მოიცავს ცოდნის გააზრებას, კრიტიკულ ანალიზსა და პროფესიულ საქმიანობაში მის გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც გულისხმობს ანალიზის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას.

პროგრამა ასევე უზრუნველყოფს ჟურნალისტური საქმიანობისათვის აუცილებელი პროფესიულ-პრაქტიკული კომპეტენციების ჩამოყალიბებას, მათ შორის ინფორმაციის მოძიების, გადამოწმების, თემის შერჩევისა და მედიაპროდუქტის შექმნის უნარებს. შედეგად, პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება იმუშაოს სხვადასხვა მედია ფორმატში, მათ შორის რეპორტიორისა და ტელე-რადიო წამყვანის პოზიციებზე.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში მიზნებში გამოკვეთილია ტელე-რადიო ჟურნალისტიკის მიმართულება, აღნიშნული თავსებადია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის (0321 — ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა) მოთხოვნებთან, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტიკა განიხილება როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილი და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს. ამასთან, აღნიშნული სფერო მოიაზრება უფრო ფართო აკადემიურ კონტექსტში — „სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია“, რაც მიუთითებს მის ინტერდისციპლინურ ხასიათზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის (მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი) ფართო პროფილიდან გამომდინარე, ექსპერტთა რჩევაა - პროგრამის მიზნებში მეტად გამოიკვეთოს მასობრივი კომუნიკაციის სფეროს მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ასპექტები, მათ შორის მულტიმედიური და თანამედროვე მედიაგარემოსთან

დაკავშირებული კომპონენტები. ეს ხელს შეუწყობს პროგრამის მასშტაბის ადეკვატურ წარმოჩენას და განამტკიცებს მის შესაბამისობას როგორც სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დარგობრივ მახასიათებლებთან, ისე მინიჭებულ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი .
- უსდ-ს ვებგვერდი <https://batu.edu.ge/>

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის მიზნებში მეტად გამოიკვეთოს მასობრივი კომუნიკაციის სფეროს მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ასპექტები, მათ შორის მულტიმედიური და თანამედროვე მედიაგარემოსთან დაკავშირებული კომპონენტები. ეს ხელს შეუწყობს პროგრამის მასშტაბის ადეკვატურ წარმოჩენას და ასევე, განამტკიცებს მის შესაბამისობას როგორც სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დარგობრივ მახასიათებლებთან, ისე მინიჭებულ კვალიფიკაციასთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონეზე განსაზღვრულ მოთხოვნებს და ასახავს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროსათვის დამახასიათებელ ძირითად კომპეტენციებს. შედეგებში

წარმოდგენილია როგორც დარგობრივი ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ისე ინფორმაციის მოძიების, ანალიზის, კომუნიკაციისა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო კომპეტენციები.

სწავლის შედეგები მოიცავს მასობრივი კომუნიკაციის არსის გააზრებას, მედიის სოციალური პასუხისმგებლობისა და ჟურნალისტის როლის გაცნობიერებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასევე, გათვალისწინებულია ცოდნის დემონსტრირება მასობრივი კომუნიკაციის, მედიისა და კომუნიკაციის მდგრადი სფეროსთან დაკავშირებული თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული მიდგომების, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და დარგის უახლესი ტენდენციების შესახებ.

შედეგებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პრაქტიკული პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის ინფორმაციის მოძიება, დახარისხება, მედიაპროდუქტის დაგეგმვა და შექმნა, მედიაპროექტების მომზადება და შესაბამისი აუდიტორიისათვის წარდგენა. ასევე, ხაზგასმულია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, ანალიზის უნარი, კრიტიკული აზროვნება, პროფესიული ეთიკის დაცვა და გუნდურ გარემოში მუშაობის უნარი.

ამასთან, იკვეთება, რომ ერთ სწავლის შედეგში გაერთიანებულია რამდენიმე განსხვავებული კომპეტენცია (მაგალითად, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, კომუნიკაცია და კრიტიკული შეფასება), რამაც შესაძლოა გაართულოს მათი დიფერენცირებული შეფასება. სწავლის შედეგების დეკომპოზიცია უფრო კონკრეტულ, გაზომვად ინდიკატორებად ხელს შეუწყობს თითოეული უნარის გაზომვის სიზუსტეს. ასევე, ექსპერტთა რჩევაა- კვლევითი კომპონენტის უფრო ოპერაციული და კონკრეტული განსაზღვრა, ვინაიდან არსებული ზოგადი ფორმულირება — „კვლევის მეთოდების გამოყენებით“ — არ ასახავს იმ კონკრეტულ მეთოდებსა და ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რომელთა ფლობა მოეთხოვება სტუდენტს საბაკალავრო საფეხურზე.

პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკა ასახავს კურიკულუმის კომპონენტების კავშირს პროგრამის შედეგებთან და ქმნის მისი შიდა ლოგიკის შეფასების საფუძველს. კურსების დონეზე იკვეთება ეტაპობრივი განვითარების პრინციპი, განსაკუთრებით ტექნიკურ-პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების მიმართულებით. მაგალითად, „ტელეოპერატორის ოსტატობა 1-2“ უზრუნველყოფს ტექნიკური უნარების თანმიმდევრულ განვითარებას, „მეტყველების კულტურა 1-3“ — ვერბალური კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ხოლო „ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1-2“ — პროფესიული ტექსტის შექმნის უნარების გაღრმავებას.

ამასთან, ისეთი კომპლექსური კომპეტენციები, როგორიცაა მედიაპროდუქტის შექმნა და პროფესიული ეთიკის დაცვა, რუკაში ძირითადად დაკავშირებულია პროგრამის დასკვნით კომპონენტებთან — საწარმოო პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომთან, რის შედეგადაც მათი შეფასება კონცენტრირდება სასწავლო პროცესის საბოლოო ეტაპზე. სილაბუსების ანალიზით ჩანს, რომ აღნიშნული უნარები რეალურად ვითარდება უფრო ადრე, შუალედურ კურსებშიც, მაგ.: „საგამომიებო ჟურნალისტიკა“, „ინტერვიუს ტექნოლოგია“, „სოციალური კვლევის მეთოდები“ და „მედიამენეჯმენტი“. შესაბამისად, პროგრამაში

ფაქტობრივად არსებობს კომპლექსური უნარების განვითარების ლოგიკური პროგრესია, თუმცა ეს პროცესი სრულად არ არის ასახული, როგორც თანმიმდევრული და ეტაპობრივი განვითარების სისტემა.

პროგრამაში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები (მაგ: საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით სტუდენტების 70–80%-ისთვის 85–95 ქულის მიღების დაგეგმვა) მეტად ოპტიმისტურად გამოიყურება და შესაძლოა სრულად ვერ ასახავდეს რეალურ სურათს. ჟურნალისტიკის მსგავს შემოქმედებით სფეროში, სადაც შეფასება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინდივიდუალურ ოსტატობასა და კრეატიულობაზე, სტუდენტთა დიდი ნაწილის მიერ ერთგვაროვნად მაღალი შეფასებების მიღება გარკვეულ კითხვებს აჩენს შეფასების დიფერენცირების ხარისხთან დაკავშირებით. ამდენად, მიზანშეწონილია სამიზნე ნიშნულების გადახედვა და მათი უფრო რეალისტურ, პრაქტიკულ მონაცემებზე დაფუძნებულ ჩარჩოში მოქცევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა .
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.
- SCED-F 2013 (განათლებისა და ტრენინგის სფეროები).
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელო.
- უსდ-ს ვებგვერდი <https://batu.edu.ge/>

რეკომენდაცია :

- რეკომენდირებულია, კურიკულუმის რუკის გაუმჯობესება კომპლექსური კომპეტენციების ეტაპობრივი ინტეგრირების, შუალედურ კურსებთან მათი კავშირის გამოკვეთისა და სტუდენტთა პროგრესის სისტემური შეფასების უზრუნველყოფით; ასევე, სამიზნე ნიშნულების რეალისტური განსაზღვრის გზით.

რჩევა:

- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების დეკომპოზიცია გაამარტივებს მათი შეფასების პროცესს. ამასთან, კვლევითი კომპონენტის უფრო ოპერაციული განსაზღვრა, მათ შორის კონკრეტული მეთოდებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების დაკონკრეტება, რაც ხელს შეუწყობს კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების განვითარებას.

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, შეფასების, ანალიზისა და გაუმჯობესების ციკლურ პროცესს. გამოყენებულია შესაბამისი ინსტრუმენტები, მათ შორის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, კურიკულუმის რუკა და შეფასების გეგმის ცხრილები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტებს შორის ლოგიკურ კავშირს და შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. ასევე, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები და გამოიყენება როგორც პირდაპირი (სასწავლო პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი), ისე არაპირდაპირი (კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა შეფასება) მეთოდები, რაც ქმნის მრავალმხრივ შეფასების სისტემას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულ განხორციელებას. თუმცა, როგორც მეთოდოლოგიური დოკუმენტიდან, ისე პროგრამის შეფასების ცხრილიდან იკვეთება, რომ შეფასება ძირითადად ხორციელდება იმავე პირების მიერ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სწავლების პროცესში. შეფასების პროცესის შემდგომი დახვეწის მიზნით, სასურველია, გაძლიერდეს მისი დამოუკიდებელი კომპონენტი, მათ შორის გარე ექსპერტების ან სწავლების პროცესში ნაკლებად ჩართული პირების ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სანდოობისა და ობიექტურობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია; https://batu.edu.ge/text_files/ge_file_4092_1.pdf
- სწავლის შედეგების შეფასების წესი <https://batu.edu.ge/main/laws/5/index.html>
- პროგრამა - ტელე-რადიო ჟურნალისტიკა

ექსპერტთა რჩევა:

სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გაძლიერდეს დამოუკიდებელი კომპონენტი, მათ შორის გარე ექსპერტების ან სწავლების პროცესში ნაკლებად ჩართული პირების ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სანდოობისა და ობიექტურობის გაუმჯობესებას.

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია 240 ECTS კრედიტის მოცულობით, რაც მისი დამტკიცების ეტაპზე შეესაბამებოდა მოქმედ მოთხოვნებს. თუმცა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 20 თებერვლის №20/ნ ბრძანების შესაბამისად, ბაკალავრიატის პროგრამების მოცულობა განისაზღვრა 180–200 კრედიტის ფარგლებში, ხოლო 240-კრედიტიანი პროგრამები დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რომელთა შორის მოცემული პროგრამა არ განიხილება. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა საჭიროებს მოქმედ რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც განაპირობებს კურიკულუმის სტრუქტურული და შინაარსობრივი ოპტიმიზაციის აუცილებლობას.

პროგრამა ფოკუსირებულია პროფესიულ-პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებაზე და უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას მედიაში პრაქტიკული საქმიანობისათვის. სასწავლო კურსები ორგანიზებულია თანმიმდევრული განვითარების პრინციპით (მაგ., „ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1–2“, „ანალიტიკური ჟურნალისტიკა 1–2“, „ტელეოპერატორის ოსტატობა 1–2“, „აუდიო-ვიდეო მონტაჟი 1–2“, „მეტყველების კულტურა 1–3“), რაც უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების თანდათანობით გაღრმავებას.

პროგრამის სავალდებულო ნაწილში წარმოდგენილია შვიდი ვიწრო ტექნიკური კურსი (საოპერატორო ოსტატობა, აუდიო-ვიდეო მონტაჟი, მეტყველება და სხვ.), რომელთა გავლა ყველა სტუდენტისთვის სავალდებულოა. აღნიშნული განაწილება ზრდის ტექნიკურ-პრაქტიკული კომპონენტის წილს და ზღუდავს სტუდენტების შესაძლებლობას, ინდივიდუალური ინტერესებისა და პროფესიული მიზნების შესაბამისად ჩამოაყალიბონ საკუთარი სასწავლო ტრაექტორია. შედეგად, ყველა სტუდენტი ერთნაირი ინტენსივობით ეუფლება ამ მიმართულებებს, მიუხედავად იმისა, რომ მედიასფეროში პროფესიული როლები განსხვავებულ სპეციალიზაციას მოითხოვს.

ამასთან, პროგრამა მოიცავს თეორიულ, კვლევით და ანალიტიკურ კურსებს („მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“, „სოციალური კვლევის მეთოდები“, „ჟურნალისტიკის შესავალი“, „ანალიტიკური ჟურნალისტიკა“, „ანალიზისა და მოსაზრების წერა“,

„საგამომიებო ჟურნალისტიკა“), ხოლო ანალიტიკური კომპეტენციების ნაწილი ინტეგრირებულია პრაქტიკულ კურსებშიც („ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1–2“). მიუხედავად ამისა, ტექნიკური კურსების რაოდენობრივი სიმრავლე ქმნის შთაბეჭდილებას, რომ თეორიულ-კვლევითი და ანალიტიკური მიმართულება პროგრამაში წარმოდგენილია არა როგორც სისტემურად განვითარებადი კომპონენტი, არამედ უფრო ფრაგმენტული სახით.

ტექნიკური კურსების ნაწილის არჩევითად გადაქცევა ან მათი ინტეგრირება უფრო ფართო მულტიმედიურ მოდულებში, სტუდენტებს მისცემს მეტ შესაძლებლობას უფრო მოქნილად დაგეგმონ საკუთარი სასწავლო გეგმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები .

რეკომენდაცია

- რეკომენდირებულია, პროგრამის მოცულობა შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ რეგულაციასთან (180–200 ECTS) კურიკულუმის შინაარსობრივი და სტრუქტურული ოპტიმიზაციის გზით.

ექპერტთა რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ტექნიკურ-პრაქტიკული კურსების მოდულური გადახედვა ეტაპობრივი განვითარების ლოგიკის შენარჩუნებით, თუმცა უფრო მოქნილი ფორმატით, ასევე ანალიტიკური კომპონენტების სისტემური ინტეგრაციის გაძლიერება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსების შინაარსისა და კრედიტების განაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ კურსების მოცულობა და შინაარსობრივი დატვირთვა, ძირითადად, შესაბამისობაშია განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათი მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. კურსების თანმიმდევრობა, რაც ხელს უწყობს კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების განსაზღვრული სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისია. კურიკულუმი მოიცავს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ და ანალიტიკურ კომპონენტებს, რაც ქმნის საფუძველს პროგრამის მიზნებთან თანხვედრისათვის.

სილაბუსებში, რიგ შემთხვევებში, იკვეთება სავალდებულო ლიტერატურის როგორც განმეორებადობის, ისე გამოცემების სიძველის ტენდენცია, რაც ნაწილობრივ ზღუდავს თანამედროვე მედია გარემოს სრულფასოვან ასახვას. ძველი გამოცემების (მაგ., 2001, 2006, 2009 წლების სახელმძღვანელოები) გამოყენება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთი დინამიკური სფეროსთვის, როგორიცაა - მედია და კომუნიკაცია. მაგალითად, ახალი ამბების ჟურნალისტიკისა და ინტერვიუს ტექნოლოგიის კურსებში გამოყენებულია კლასიკური, თუმცა ქრონოლოგიურად მოძველებული წყაროები, ხოლო ახალი მედიის სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს 2005, 2011 და 2013 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებს. ანალოგიურად, თეორიულ კურსებში („მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“, „ჟურნალისტიკის შესავალი“), ასევე ფიქსირდება ძველი გამოცემები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ლიტერატურის განახლება და დივერსიფიკაცია, მათ შორის თანამედროვე საერთაშორისო წყაროების უფრო აქტიური ინტეგრირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია, ლიტერატურის განახლება, მათ შორის თანამედროვე საერთაშორისო წყაროების უფრო აქტიური ინტეგრირებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
------------	----------

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

